თავი VIII
მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტები 2009–2012 წლებში

მუხლი 37. საქართველოს კონტროლის პალატა

- INTOSAI-ის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ტრანსფორმაცია სახელმწიფო უმაღლეს გარე მაკონტროლებელ ორგანოდ;
- სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: INTOSAI-ის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს კონტროლის პალატის ტრანსფორმაცია სახელმწიფო უმაღლეს გარე მაკონტროლებელ ორგანოდ

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- კონტროლის პალატის საქმიანობის აქცენტირება სახელმწიფო სახსრების ფორმირებისა და გამოყენების, სახელმწიფო საკუთრების მართვისა და განკარგვის, სახელმწიფო ვალების, უცხოური სახელმწიფო კრედიტებისა და გრანტების მიღების და გამოყენების კანონიერებისა და ეფექტიანობის შემოწმებაზე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგზე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, პროგრამებისა და ღონისძიებების პროექტებზე საექსპერტო დასკვნების მომზადებაზე;
- „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების საფუძველზე კონტროლის პალატის, როგორც გარე აუდიტის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს, შემდგომი განვითარება და საკონტროლო საქმიანობის სახელმწიფო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე ეტაპობრივი გადასვლა;
- აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად კონტროლის პალატაში დასაქმებულ კონტროლიორთა სერტიფიცირებულ ბუღალტერ-აუდიტორებად გადამზადება;
- საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით სახელმწიფო აუდიტის ეროვნული სტანდარტების შემუშავება და მათი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით შესაბამისი მეთოდოლოგიების შემუშავება;
- ფინანსური კონტროლის ხარისხის ამაღლების მიზნით თანამედროვე ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვა;
- კონტროლის პალატის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და კადრების შერჩევის პროცედურების სრულყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

სახელმწიფო სექტორში ჩატარებული შემოწმებების შედეგად ფინანსური წესრიგის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცება; საქართველოს კონტროლის პალატის მიერ შემოწმებების ჩატარების

უზრუნველყოფა ძირითადად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ბუღალტერ-აუდიტორთა მეშვეობით.

პრიორიტეტი: სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზების ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- შესაბამის უწყებებთან ერთად საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა საქმიანობის მაკოორდინირებელი რგოლის (კომისიის, საბჭოს) შექმნა;
- მხარჯავი დაწესებულებების შემადგენლობაში შიდა კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების შექმნის ხელშეწყობა და შესაბამის უწყებებთან ერთად შესაბამისი სამუშაოების ორგანიზება შიდა კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის მიზნით, აგრეთვე აღნიშნულ სფეროში შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება.

მოსალოდნელი შედეგი:

ქვეყანაში ფინანსური წესრიგის შემდგომი გაუმჯობესება და მისი შენარჩუნება საშუალო- და გრძელვადიან პერიოდებში, ფინანსური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსებისა და სახელმწიფო სახსრების დაზოგვა და მათი გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესება.

მუხლი 38. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პრიორიტეტების ახლებურად განსაზღვრა;
- გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნა და მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის დანერგვა;
- მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების დახვეწა, მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლება;
- სასამართლოს მენეჯმენტის გაუმჯობესება, საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების სრულყოფა;
- მოსამართლეთა და სასამართლოების მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პრიორიტეტების ახლებურად განსაზღვრა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მიმართულებების ფუნქციონალური სრულყოფა; საბჭოს მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და სასამართლოს

საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფა, სასამართლოთა საქმიანობის შეფასება, სასამართლოებში ეფექტიანი მენეჯმენტის დამკვიდრება, სასამართლო სისტემის შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის ფუნქციების გაძლიერება.

მოსალოდნელი შედეგები:

- განმტკიცდება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა;
- მართლმსაჯულება გახდება ეფექტიანი და ხელმისაწვდომი.

პრიორიტეტი: გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნა და მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის დანერგვა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გამსხვილება; შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება; მაგისტრატი მოსამართლეების დანიშვნა; მაგისტრატი სასამართლოების შენობების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია;
- სასამართლოს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე, ახალი ავეჯით, საოფისე ტექნიკითა და სხვა აუცილებელი ინვენტარით მათ აღჭურვაზე, სხდომათა დარბაზებში გახმოვანების თანამედროვე სისტემების დამონტაჟებაზე, სასამართლოთა სრულ კომპიუტერიზაციაზე, ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნაზე, საერთო სასამართლოების საქმისწარმოების პროგრამის შეძენა-დანერგვაზე ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- შეიქმნება ეფექტიანი სასამართლო სისტემა;
- მართლმსაჯულება გახდება ეფექტიანი და ხელმისაწვდომი;
- ყველა სასამართლოს შენობას ჩაუტარდება რეკონსტრუქცია და განახლდება.

პრიორიტეტი: მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების დახვეწა, მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლება

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერება; მდგრადი სასამართლო სისტემისა და კვალიფიციურ მოსამართლეთა კორპუსის ჩამოყალიბება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებითაც განისაზღვრება მოსამართლედ დასანიშნ პირთა — იუსტიციის მსმენელთა მოსამართლედ გამწესების წესი და მომზადდება საფუძველი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნისათვის; მოქმედი მოსამართლეების დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება; მოქმედი მოსამართლეების გადამზადება; მომზადებისა და გადამზადების სასწავლო პროგრამების შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი:

სასამართლო სისტემა დაკომპლექტდება მაღალკვალიფიციური კადრებით; მოსამართლეები ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში დაწინაურდებიან მათი კვალიფიკაციის, გამოცდილების თუ სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით; მოსამართლეები დაინიშნებიან უვადოდ, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის განმტკიცებას; მოსამართლეთა შერჩევის ეფექტიანი კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობას და ობიექტურობას; მოსამართლეები გაეცნობიან ახალ საკანონმდებლო ცვლილებებს და მათი პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებებს; მომზადდება სასწავლო პროგრამები, რომლებითაც შესაძლებელი იქნება მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლება.

პრიორიტეტი: სასამართლოს მენეჯმენტის გაუმჯობესება, საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების სრულყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება; სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება; სასამართლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესების დაცვა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

სასამართლოს მენეჯმენტის არსებული სიტუაციის შეფასება და მართვის ეფექტიანი მექანიზმების დასამკვიდრებლად შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება; საქმისწარმოების ერთიანი წესის შემუშავება და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა; საერთო სასამართლოების ერთიანი

კომპიუტერული ქსელის შექმნა, სადაც განთავსდება სასამართლო გადაწყვეტილებები, სხდომათა განრიგები, მონაცემები საქმეთა მიმდინარეობის შესახებ.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესდება სასამართლოს აპარატის საქმიანობა; სასამართლოებს შეეძლებათ დამოუკიდებლად განკარგონ მათთვის გამოყოფილი სახსრები და განახორციელონ წვრილმანი საფინანსო ოპერაციები სასამართლოს შეუფერხებელი და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად; საერთო სასამართლოებში დაჩქარდება საქმეთა განხილვა, შესაძლებელი გახდება საპროცესო ვადების ავტომატურ რეჟიმში კონტროლი, მართლმსაჯულება გახდება უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტიანი, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვასა და საჯაროობას.

პრიორიტეტი: მოსამართლეთა და სასამართლოების მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- მოსამართლეთა და სასამართლოების აპარატების თანამშრომლებისათვის სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

მოსამართლეთა ხელფასების ეტაპობრივი ზრდა.

მოსალოდნელი შედეგი:

გაიზრდება მოსამართლეთა ხელფასები; მოსამართლეებს შეექმნებათ მყარი სოციალური დაცვის გარანტიები, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას და სასამართლოს მიუკერძოებლობას.

მუხლი 39. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაცია;
- ევროკავშირთან ინტეგრაციის კოორდინაცია;
- ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაცია.

აღნიშნული პრიორიტეტების მიზნებია:

- ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს მთავრობის დეკლარირებული მიზანია. აღნიშნული მოითხოვს, ერთი მხრივ, დიპლომატიურ ურთიერთობებს ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან ნატო-ს მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, აგრეთვე მთელი რიგი რეფორმების განხორციელებას;

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ეროვნული გეგმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;
- ევროკავშირის მხარდაჭერა ქვეყნის გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გასატარებლად გეოგრაფიული და თემატური ინსტრუმენტებით, მათ შორის, ENPI-ს საშუალებით.

პრიორიტეტი: ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ANP-ის შემუშავებისა და იმპლემენტაციის კოორდინაცია;
- უწყებების მიერ ANP-ით აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;
- ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში საქართველოს ალიანსთან თანამშრომლობის კოორდინაცია;
- ნატო-ს რეგულარული ინფორმირება საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მოსალოდნელი შედეგი:
ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებისათვის საფუძვლის მომზადება.

პრიორიტეტი: ევროკავშირთან ინტეგრაციის კოორდინაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაცია არსებული ინსტიტუციური მექანიზმების (ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია, კომისიის სამუშაო ჯგუფები და ქვეჯგუფები) ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გზით;
- ევროკავშირის „აღმოსავლეთი პარტნიორობის“ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების გამოყენება;
- საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება ევროინტეგრაციის პრიორიტეტულ სფეროებში (თავისუფალი ვაჭრობა, ენერგოუსაფრთხოება, მიმოსვლის გამარტივება, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია) თანამშრომლობის მიზნით;
- შესაბამის უწყებებთან ერთად ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიური გეგმის შემუშავება;
- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ევროპელი პარტნიორებისათვის;
- წელიწადში ორჯერ საქართველოში მაღალი დონის წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.

მოსალოდნელი შედეგი:
ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის

ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მოგვარებაში და სტაბილურობის უზრუნველყოფაში ევროკავშირის აქტიური მონაწილეობა, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობასა და დემოკრატიულ განვითარებაში ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერა, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასრულება.

პრიორიტეტი: ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ევროკავშირის დახმარების პროგრამებთან და პროექტებთან, ასევე ეროვნულ და რეგიონულ ინდიკატურ პროგრამებთან და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების კოორდინაცია ევროკავშირთან და შესაბამის უწყებებთან;

- ევროკავშირის დახმარების მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა და რეგულარული განახლება;

- ევროკავშირის პროგრამების პროცედურებისა და დირექტივების შესახებ სახელმწიფო უწყებებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ასევე მათთვის დახმარების გაწევა საპროექტო წინადადებების, პროექტების, სამუშაო დავალებების, მონიტორინგის ანგარიშებისა და ევროკავშირის დახმარებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

მოსალოდნელი შედეგი:

ევროკავშირის დახმარების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა, ევროკავშირის პროგრამებზე მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ევროკავშირის პროგრამების განხორციელების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება, ევროკავშირის დახმარებათა გამოყენების პროცესის გამჭვირვალობის ზრდა.

მუხლი 40. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

- საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა;
- ხაზინის განვითარება;
- საფინანსო პოლიტიკის სრულყოფა;
- შემოსავლების მობილიზება;
- ინსტიტუციური განვითარება.

პრიორიტეტი: საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვა;

- ერთიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვის სრულყოფა;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების სრულყოფა;
- სახელმწიფო საშინაო ვალის სრული ინვენტარიზაციის სრულყოფა;
- საგარეო ვალების მდგრადობის მოდელის სისტემატური განახლების უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესი MTEF-ის პრინციპებზე დაყრდნობით;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირების შესაძლებლობის მოდელის გაუმჯობესება;
- შიდა ვალის მენეჯმენტის დახვეწა;
- საგარეო ვალის მდგრადობის შენარჩუნება;
- დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით დონორთა კოორდინაციის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: ხაზინის განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- აღრიცხვის სისტემის სრულყოფა;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული სისტემის – PFMS-ის დანერგვა (PSFMSP-ის ფარგლებში);
- GFSM-2001 წლის კლასიფიკაციის შემოღების პროცესის დასრულება;
- სახელმწიფო რესურსების გამოყენებისა და შემოწმების სისტემის სრულყოფა;
- საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების (IPSAS) დანერგვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახაზინო ოპერაციებისათვის საჭირო დროის შემცირება;
- ერთიანი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება;
- აღრიცხვის სისტემის სრულყოფა და საერთაშორისო ფინანსურ სტატისტიკაში საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება.

პრიორიტეტი: საფინანსო პოლიტიკის სრულყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსების გამარტივება ბიზნესგარემოსა და ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით შეთანხმების გაფორმება სხვადასხვა ქვეყნებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბიზნესგარემოს გაუმჯობესება;
- ფისკალურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა.

პრიორიტეტი: შემოსავლების მობილიზება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული სრულყოფა;
- საგადასახადო და საბაჟო განაკვეთების შემცირების მექანიზმის სრულყოფა;
- შემოსავლების ზრდის მექანიზმის სრულყოფა.

მოსალოდნელი შედეგები:

- შემოსავლების სამსახურის მოხელეთა საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- გადასახადის ნებაყოფლობით გადახდით შემოსავლების ზრდა;
- შემოსავლების სამსახურის ფუნქციონალური სრულყოფა;
- საგადასახადო საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება.

პრიორიტეტი: ინსტიტუციური განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- თანამშრომელთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა;
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფა;
- სისტემის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის საჯარო მოხელეთა საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა;
- ფინანსთა სამინისტროს შიდა კონტროლისა და იურიდიული საქმიანობის სრულყოფა;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მუხლი 41. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

- ეკონომიკური პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია, სტატისტიკური კვლევები;
- საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი, ხარისხის ინფრასტრუქტურა;

- კერძო სამეწარმეო სექტორის ხელშეწყობა, სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

პრიორიტეტი: ეკონომიკური პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია, სტატისტიკური კვლევები

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება;
- ეკონომიკის ყველა დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა;
- მაღალხარისხიანი სტატისტიკური კვლევების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვას;
- სტატისტიკის სისტემაში საკვანძო საკვლევი ინდიკატორების ოპტიმიზაცია და მათი კვლევის ხარისხის ამაღლება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- **სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა**
- ეკონომიკური ინდიკატორებისა და სექტორების სტატისტიკური კვლევა;
- მიღებული მონაცემების გავრცელება შესაბამისი პუბლიკაციების გამოცემითა და ვებგვერდის მეშვეობით.

- **შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა**
- შინამეურნეობათა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, სიღარიბის, დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და გამოქვეყნება.

- **სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა**
- სოფლის მეურნეობის სექტორის მახასიათებელი ინდიკატორების გაანგარიშება;
- სასურსათო უსაფრთხოების შესახებ მონაცემთა დამუშავება და სასურსათო უსაფრთხოების ბიულეტენების გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მოსალოდნელი შედეგი:

ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური და სხვა სფეროების შესახებ საზოგადოებისა და ხელისუფლების სტატისტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: საგარეო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი, ხარისხის ინფრასტრუქტურა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბაზრების დივერსიფიცირებისათვის შეღავათიანი საგარეო სავაჭრო რეჟიმების დამყარება საგარეო პარტნიორებთან;

- უცხოურ ბაზრებზე არასატარიფო ბარიერების დაძლევისათვის ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- ტექნიკური რეგულირების (სტანდარტების, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სფეროების) შემდგომი განვითარება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან დაახლოების მიზნით;
- უცხოური ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვისათვის საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელთა შედეგადაც მოხდება არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამები

- საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა;
- საიმიჯო და სარეკლამო მასალების დამზადება, გამოცემა და გავრცელება;
- პრესტურებისა და გაცნობითი ტურების ორგანიზება;
- ცალკეული კურორტებისა და სარეკრეაციო ზონების დაცვისა და განვითარების გეგმების პროექტების დამუშავება;
- ტურისტული ინდუსტრიის კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, იმიჯის გაუმჯობესება;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, უცხოელ ტურისტთა რაოდენობის ზრდა;
- კურორტებისა და სარეკრეაციო ზონების გეგმაზომიერი განვითარება და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: კერძო სამეწარმეო სექტორის ხელშეწყობა, სახელმწიფო ქონების პრივატიზება

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების, რეგიონული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

სახელმწიფო პროგრამა ,,იაფი კრედიტი" მიზნად ისახავს რეგიონებში ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ხალხური რეწვის განვითარებას, წარმოების სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისათვის ხელის შეწყობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მუხლი 42. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამა: გზების მოვლა-შენახვა (მიმდინარე, პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობა და შენახვა ზამთრის პერიოდში)

ძირითადი ღონისძიებები:

- შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის გზების სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობა;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გზების მშენებლობა;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგები:

- საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი ხარისხის გაუმჯობესება;
- გზებზე ავტოტრანსპორტის და მგზავრთა შეუფერხებელი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა;
- ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდა და ათვისება;
- სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა.

მუხლი 43. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

- ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა;
- სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობა და მისი მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;
- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს პროკურატურის რეფორმირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პრიორიტეტი: ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფილი სისტემის დანერგვა;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა;

- ინფრასტრუქტურის განვითარება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- პროფესიონალი კადრების ჩართვა ტრენინგებში, პერსონალის ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა და საკადრო სისტემის ანალიზი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი პროგრამის შექმნა და ონლაინრეჟიმში მუშაობაზე გადასვლა;
- ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათებისა და ბიომეტრიული პასპორტების შემოღება;
- განვითარებული ქვეყნების ანალოგიური სამსახურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესწავლა და ანალიზი, კანონპროექტების მომზადება შესაბამისი სფეროებისათვის;
- ძველი ტერიტორიული სამსახურების შენობების გარემონტება, რეგიონებში ახალი ქორწინების სახლების შექმნა, ცენტრალური სერვერული ცენტრისა და დუბლირებული სერვერული ცენტრის ინსტალაცია, ინტეგრირებული ქსელის შექმნის დასრულება და ამოქმედება.

მოსალოდნელი შედეგები:

- კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული და მომხმარებელზე ორიენტირებული სამსახური;
- მონაცემთა ბაზის სრულყოფა და სხვა ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომობა;
- ბიომეტრიული პასპორტებისა და ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათების გაცემა;
- სამოქალაქო რეესტრის შესახებ სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა;
- დახლის პრინციპით გარემონტებული სამსახურების შენობები; რეგიონალურ ცენტრებში შექმნილი ქორწინების სახლები; ფუნქციონირებადი ცენტრალური და დუბლირებული სერვერული ცენტრის არსებობა, ტერიტორიული სამსახურის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და საქართველოს მასშტაბით ინტეგრირებული ქსელის შექმნა.

პრიორიტეტი: სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი მუშაობა და მისი მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა, კადრების შერჩევის სწრაფი და ოპტიმალური სტანდარტების დანერგვა, ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განახლება, თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა, პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების სისტემატური ორგანიზება, სრული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა, ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროების ოფისებით აღჭურვა, არსებული შენობა-ნაგებობების გარემონტება, ავტოპარკის შევსება-განახლება, ერთიანი ციფრული საკომუნიკაციო სისტემის შექმნა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების შემუშავება, აღმასრულებელი აქტების აღსრულების პროცენტული და თანხობრივი მაჩვენებლების ზრდა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოში მაღალი მაჩვენებლის მქონე აღსრულების სისტემის შექმნა;
- სასამართლო გადაწყვეტილებების დროული და ეფექტიანი აღსრულება;
- სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მაქსიმალური მობილიზება.

პრიორიტეტი: ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობასთან მიმართებით: ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო პოზიციების ეფექტიანი წარმოდგენა და დაცვა, სამართლებრივი დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების განმტკიცება;
- საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობასთან მიმართებით: საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებულ საარბიტრაჟო დავებში სახელმწიფო პოზიციების ეფექტიანი წარმოდგენა და დაცვა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი თანამშრომლობა ევროპულ სასამართლოსთან და საერთაშორისო არბიტრაჟებთან, მაღალკვალიფიციური იურიდიული ფირმების საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობასთან მიმართებით: წარდგენილ განაცხადთა რაოდენობის პროპორციულად საქართველოსთვის პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევების შემცირება, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობასთან მიმართებით: საქართველოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო დავების პრევენცია და უკვე არსებულ დავებში საქართველოსთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი შედეგის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: საქართველოს პროკურატურის რეფორმირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- ადმინისტრაციული სფეროს რეფორმირება და ანალიტიკური საქმიანობის განვითარება;
- პროკურატურის რეფორმირება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, პროკურატურის სტრუქტურაში პროკურატურის საბჭოს შექმნა და მისი საქმიანობის ინსტიტუციონალიზაცია;
- ერთიანი სტატისტიკური სისტემის შექმნა და ანალიტიკური საქმიანობის სრულყოფა;
- სისხლის სამართლის საქმეთა მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა;
- სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთან ბრძოლის საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია;
- პროკურორის ძირითად როლად სისხლისსამართლებრივი დევნის გამოკვეთა (დევნის დისკრეციულობის პრინციპის ამოქმედება);
- პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის სრულფასოვანი განხორციელება და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის გაგრძელება;
- სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული მართვის სისტემის შემუშავება და მასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროს სრულყოფილი განვითარება.

მუხლი 43[1]. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

პრიორიტეტი: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- მსჯავრდებულთა კონტროლის მექანიზმებისა და პატიმართა/მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- პრობაციის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულების მშენებლობა, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძველი შენობების შეკეთება-მოდერნიზება;
- პატიმართა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევის სისტემის სრულყოფა;
- პატიმართა/მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, კვების ნორმების ზრდა, მათთვის ფსიქოლოგიური, სოციალური და ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ თანამშრომელთა სისტემატური გადამზადება და სოციალური პირობების ეტაპობრივი გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა/მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და გამოსწორება;
- დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში მაღალკვალიფიციური კადრების დასაქმება.

პრიორიტეტი: უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების უზრუნველყოფა, უფასო იურიდიული დახმარების არსებული სისტემის ეფექტიანობის ზრდა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საზოგადოების ინფორმირება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო სამართლებრივი დახმარების/იურიდიული დახმარების სამსახურის თაობაზე;
- საქართველოს რეგიონებში საკონსულტაციო ცენტრებისა და იურიდიული დახმარების ბიუროების ჩამოყალიბება, მათი ეფექტიანი და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირება;
- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფა;
- იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლის სრულად უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის სამართლებრივი მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე მისი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად;
- გაიზრდება მოსახლეობის ინფორმირებულობა სახელმწიფოს ხარჯზე უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ;
- გაძლიერდება სამსახურის ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, გაიზრდება ადვოკატთა საქმიანობის ორგანიზებულობის ხარისხი, სამსახურში დასაქმებულ პროფესიონალთა კვალიფიკაციის დონე, შესაბამისად, სამსახურის მიერ გაწეული უფასო იურიდიული მომსახურების ხარისხი.

მუხლი 44. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა;
- ნატო-ში გაწევრიანება;
- ევროინტეგრაცია;
- ეკონომიკური დიპლომატია;
- საქართველოს წარმოჩენა;
- საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში წვლილის შეტანა;
- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა და თანამემამულეებთან ურთიერთობა;
- ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- კონფლიქტების მოგვარების პროცესში ევროკავშირისა და აშშ-ის აქტიური ჩართულობის შენარჩუნება;

- ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის ქმედობაუნარიანობის უზრუნველყოფა;
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელების ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში კონფლიქტების ზონებში ევროკავშირის ან/და ეუთოს სამშვიდობო ან/და საპოლიციო მისიების განლაგების ხელშეწყობა, შესაბამისი საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში კონფლიქტების რეგიონებში ეუთოსა და გაეროს მისიების გაგრძელება საქართველოსთვის მისაღები ფორმატით;
- დევნილების ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა შესაბამისი საერთაშორისო გარანტიების პირობებში;
- დევნილთა უფლებების დაცვა და ომის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ომის შედეგად დაზარალებული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაცია, კონფლიქტების ზონებში ადგილობრივი დონის (grassroots level, people-to-people) კონტაქტების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის რეალური ფუნქციონირება;
- რუსეთის ფედერაციის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულება, რაც საქართველოს დეოკუპაციისა და კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების წინაპირობა იქნება;
- კონფლიქტების ზონებში ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების დონის ამაღლება და ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- დევნილთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: ნატო-ში გაწევრიანება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატის მაქსიმალური გამოყენება;
- ეროვნული წლიური გეგმის შემუშავებასა და რეალიზაციაში მონაწილეობა;
- IPAP-ის ფარგლებში ვალდებულებების შესრულება;
- ინტენსიური დიალოგის (ID), როგორც გაწევრიანების ერთ-ერთი მექანიზმის, მაქსიმალური გამოყენება პოლიტიკური კონსულტაციებისათვის.

მოსალოდნელი შედეგი:

ალიანსთან თავსებადობის მიღწევა და გაწევრიანებისათვის აუცილებელი ტექნიკური პარამეტრების შესრულება.

პრიორიტეტი: ევროინტეგრაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა;

- თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში;
- ევროკავშირთან ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის მიღწევა;
- ინტენსიური დიალოგის წარმართვა სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის, გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის ხელშეკრულების დადების მიზნით;
- ევროკავშირის ჩართვა კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით შესრულება და ევროკავშირთან ინტეგრაციის ახალი დონის მიღწევა;
- ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის, გამარტივებული სავიზო რეჟიმის და რეადმისიის შეთანხმებების გაფორმების ხელშეწყობა;
- ევროკავშირთან გაღრმავებული ჩარჩო შეთანხმების გაფორმების ხელშეწყობა;
- ევროკავშირის აქტიური ჩაბმა საქართველოს დეოკუპაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

პრიორიტეტი: ეკონომიკური დიპლომატია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ექსპორტის მხარდაჭერა;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ენერგორესურსების მოწოდების დივერსიფიცირების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ექსპორტის მოცულობის ზრდა;
- უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა;
- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერება.

პრიორიტეტი: საქართველოს წარმოჩენა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- გარე სამყაროსთვის ქვეყნის სრული პოტენციალის ეფექტიანად დემონსტრირება;
- საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- სათვისტომოების პოტენციალის გამოყენება;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც ევროპული ფასეულობებისა და კულტურის მქონე ქვეყნის, აღქმა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გაძლიერების მიზნით;
- საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლითი პროგრამების ინტენსივობის ზრდა.

პრიორიტეტი: საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში წვლილის შეტანა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების საკითხებზე მუშაობა;
- სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში მონაწილეობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერება;
- საქართველოს, როგორც უსაფრთხოების ხელშემწყობი ქვეყნის, იმიჯის გაძლიერება;
- დემარკირებული, დელიმიტირებული და დაცული სახელმწიფო საზღვარი.

პრიორიტეტი: საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა და თანამემამულეებთან ურთიერთობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საკონსულო დაწესებულებების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა;
- საქართველოს მოქალაქეთა დახმარება კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში;
- საქართველოს მოქალაქეთა უცხოეთში მოგზაურობა და შრომითი მიგრაციის საკითხის მოწესრიგება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის გაუმჯობესება;
- კრიზისულ სიტუაციებში მოქალაქეთათვის დახმარების გაუმჯობესება;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის უცხოური ვიზების გაცემის პროცედურების ლიბერალიზაცია და გამარტივება.

პრიორიტეტი: ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ადამიანური რესურსების სისტემის სრულყოფა;

- დაგეგმვის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- დიპლომატიური სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- მართვის, დაგეგმვისა და საქმიანობის შეფასების ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება და მისი ინსტიტუციონალიზაცია.

მუხლი 45. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

- პერსონალის სოციალური პირობების გაუმჯობესება;
- თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება;
- ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია.

პრიორიტეტი: პერსონალის სოციალური პირობების გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის არსებული დონის ამაღლების პროცესის გაგრძელება;
- ოფიცრებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა;
- რუსეთის ფედერაციის აგრესიის დროს დაზარალებული/დაღუპული მოსამსახურეების/მათი ოჯახების მიმართ სოციალური ვალდებულებების შესრულების გაგრძელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- მოსამსახურეების საყაზარმე პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიგებში ახალი კადრების მოზიდვა და გამოცდილი კადრების შენარჩუნება. სამხედრო სამსახურის პრესტიჟის და მოტივაციის ამაღლება. სამხედრო მოსამსახურის ოჯახი იქნება სოციალურად დაცული როგორც სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, ისე მის შემდგომ.

პრიორიტეტი: თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის პროცესების კოორდინირებულად განხორციელებისათვის თავდაცვის სამინისტროს და გაერთიანებული შტაბის ურთიერთქმედების გასაუმჯობესებლად საჭირო ზომების მიღება;
- მართვის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა რგოლსა და სტრუქტურულ ერთეულს შორის კოორდინაციის, ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის ხარისხის ამაღლება;
- დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის (PPBS) შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია, PPBS-ის სტრუქტურული ერთეულების საბოლოო ჩამოყალიბება, პროცესში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და PPBS-ის იმპლემენტაციის მხარდამჭერი სხვა ღონისძიებების განხორციელება;
- უმაღლეს სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებში თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე აკადემიური პროგრამების განვითარების მხარდაჭერა;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის დახვეწა და არასამთავრობო სექტორში არსებულ ექსპერტთა პოტენციალის გამოყენება;
- თავდაცვის სისტემის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვას, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების ოპტიმიზაციას, რესურსების გადანაწილებისა და გამოყენების რაციონალიზაციას და გამჭირვალობის ამაღლებას; განხორციელდება შესყიდვების სისტემის სრულყოფა და გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაგეგმვის ერთიან პროცესში სრული ინტეგრირება.

პრიორიტეტი: პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- თავდაცვის ეროვნული აკადემიის რეორგანიზაცია, მისი შესაძლებლობების განვითარება საქართველოს სამხედრო განათლების მოთხოვნების შესაბამისად;
- სერჟანტთა მომზადების სკოლის განვითარება და პროფესიული სრულყოფის მიზნით შესაბამისი კურსების დანერგვა;
- სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროცესის გაგრძელება;
- შეიარაღებულ ძალებში გაერთიანებული სწავლებებისა და წვრთნების პროგრამების დახვეწა და იმპლემენტაცია;
- წვრთნებისათვის აუცილებელი სიმულაციური შესაძლებლობების განვითარება;

- სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მიერ უცხოური ენის საჭირო დონეზე შესწავლის მიზნით ადგილობრივი ენობრივი მომზადების ცენტრის ეფექტიანობის ამაღლება და ენობრივი მომზადების შემდგომი სრულყოფა;
- სამხედრო მოსამსახურეთა მართვის სისტემის ძირეული რეფორმის იმპლემენტაციის დაწყება;
- სამხედრო იერარქიული პრინციპის დაცვისა და წოდებრივი სტრუქტურის ბალანსის აღდგენის მიზნით, თანამდებობრივი პრინციპით ანაზღაურებიდან წოდებრივი პრინციპით ანაზღაურების სისტემაზე გადასვლის პროცესის გეგმაზომიერი განხორციელების დაწყება;
- თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის, ასევე თავდაცვის სამინისტროში კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შეფასების, პროფესიული განვითარების, შენარჩუნებისა და დათხოვნის პროცედურების ეტაპობრივი ოპტიმიზაცია;
- საფინანსო სამსახურებსა და ლოგისტიკის სფეროში დასაქმებულ ბუღალტრული აღრიცხვის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ხელს შეუწყობს სამინისტროს ქმედობაუნარიანობის ამაღლებას და განსაზღვრული რესურსებით შეიქმნება უფრო მეტი შედეგის მიღების შესაძლებლობა.

პრიორიტეტი: შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- შეიარაღებულ ძალებში საჰაერო თავდაცვის სისტემის სრულყოფის გაგრძელება, საჰაერო თავდაცვისა და კონტროლის შესაძლებლობების და სამხედრო-საჰაერო ძალების შემდგომი განვითარება;
- მართვისა და კონტროლის სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და შეიარაღებულ ძალებში C4ISR-ის შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარება;
- შეიარაღებულ ძალებში ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარება;
- სამხედრო დაზვერვის სისტემის ეტაპობრივი ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავება;
- შეიარაღებული ძალების გაერთიანებული ოპერაციების წარმოების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ძალთა ლოგისტიკური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება;
- შეიარაღებული ძალების სამთო და სპეცოპერაციების განხორციელების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- შეიარაღებული ძალების ტექნიკითა (საკომუნიკაციო, სადაზვერვო, ლოგისტიკური, სამედიცინო, საინჟინრო და ა. შ.) და აღჭურვილობით ოპტიმალურად დაკომპლექტება;

- შეიარაღებული ძალების საერთო მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით „ოპერატიული მართვის ცენტრის“ განვითარება;
- შეიარაღებულ ძალებში კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება;
- რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- სამხედრო-სამედიცინო სისტემის ოპტიმიზაცია/დახვეწა და სამხედრო მედიცინის შესაძლებლობების გაუმჯობესება; საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო სამსახურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; სამხედრო ჰოსპიტალის პოტენციალის უფრო აქტიურად გამოყენება სამხედრო-სამედიცინო სისტემის განვითარების გეგმების შემუშავებაში;
- გაერთიანებულ შტაბსა და შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის (CIMIC) სისტემის ეტაპობრივი განვითარება;
- შეიარაღებულ ძალებში ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური და რადიოლოგიური (NBCR) დაცვის შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარება;
- რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფციის შემუშავება და განვითარება მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- ვადაგასული და დაზიანებული, გამოუსადეგარი საბრძოლო მასალებისა და ტექნიკის უტილიზაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების პროპორციულად განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ძალთა საერთო შესაძლებლობებს, აამაღლებს მათთვის დაკისრებული მისიების შესრულების ხარისხს და გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას.

პრიორიტეტი: ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულება და თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- პარტნიორ ქვეყნებთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია;
- მუშაობის გაგრძელება საქართველოს მიერ ნატო-ს წინაშე PARP-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებებისა და „პარტნიორობის მიზნების“ შესრულებისათვის;
- საერთაშორისო სამშვიდობო ან/და ანტიტერორისტულ მისიებში მონაწილეობის პოტენციალის შენარჩუნება/განვითარება;
- ყოველწლიურ ეროვნულ გეგმაში (ANP) თავდაცვის სამინისტროს კუთხით შესატანი ვალდებულებების შემუშავება და შესრულება;

- თავდაცვის მიმართულებით ნატო-საქართველოს კომისიის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება;
- პარტნიორ ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო სწავლებებში მონაწილეობა;
- სამხედრო აეროდრომების აღდგენა და ნატო-ს მოთხოვნებთან მათი თავსებადობის გაუმჯობესება;
- შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სისტემაზე მთლიანად გადასვლის ხელშეწყობა;
- „მასპინძელი ქვეყნის მხარდამჭერი შესაძლებლობების“ განვითარება, აღნიშნულ ფორმატში ნატო-სთან თავსებადი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, ასევე დამატებითი ინფრასტრუქტურის განვითარება RSOM-ის (ძალთა ოპერაციულ თეატრზე განთავსება, მომზადება და საოპერაციო ზონაში შესვლა) მოთხოვნების შესაბამისად;
- ნატო-ს შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს თავდაცვის სისტემის ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისათვის.

მუხლი 46. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

- საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა;
- სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა;
- პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება;
- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მოსამსახურეთა სოციალური დაცვა;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვის მარაგის შენახვა და მომსახურება, ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა.

პრიორიტეტი: საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და ნარკობიზნესის გავრცელების, ტერორისტული და დივერსიული აქტების საშიშროებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სხვა ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მიზნებისა და მოქმედებების გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამეცნიერო-ეკონომიკური, სამხედრო პოტენციალისა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, სხვა ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა, სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისათვის სათანადო რეკომენდაციების მიწოდება;
- სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო და მტრული საქმიანობის გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოვლენა, წინასწარი გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილი ან/და ბრალდებული პირების ძებნა და დაკავება, აგრეთვე მათთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნა, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულთა აღკვეთის პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება, იარაღის ლეგალური ბრუნვის კონტროლი;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქვეყნის სახანძრო უსაფრთხოების დაცვა;
- ორგანიზაციებსა და საწარმოებში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის კონტროლი;
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამოქალაქო უსაფრთხოების ზომების გატარება, სტიქიური უბედურების, კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს პირთა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და პირთა ქონების ხელყოფისაგან დაცვა, დაზარალებულ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა;
- დადგენილი წესით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უმაღლესი თანამდებობის პირებისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვის ოპერატიული უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, შესაბამის უწყებებთან ერთად, კონტრდაზვერვითი საქმიანობით საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის წარმომადგენლობების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საზღვრებს გარეთ საქართველოს დაწესებულებებისა და მოქალაქეების, აგრეთვე საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- სასაზღვრო პოლიციური ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შემცირება;
- სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება;
- მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა;
- სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების ლოკალიზება და მათი შედეგების ლიკვიდაცია;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახელმწიფო საზღვრის დაცვა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, ქვეყნის საზღვაო სივრცეში და იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებსა და საფრენ საშუალებებზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- სასაზღვრო ინციდენტების, სამხედრო და სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება;
- უცხოელთა ინსპექტირება, მიგრაციისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;
- სამაშველო ოპერაციების განხორციელება ზღვაზე, სასაზღვრო ზოლსა და ზონაში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – ადამიანის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით – ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის დაცვისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლი სახელმწიფო საზღვარზე, საზღვაო სივრცეში, პორტებში და გემებზე;
- ნავსადგურების დაცვა და უსაფრთხოება, საზღვაო სივრცეში სუვერენული უფლებების დაცვა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;

- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), კონტრაბანდული საქონლის, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში დანაშაულთა თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების ჩატარება და ადმინისტრაციული საქმისწარმოება;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მისი შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი რეაგირების მექანიზმის შემუშავება, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება;
- სასაზღვრო კანონმდებლობის სრულყოფა, მესაზღვრეთა სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემუშავება (სამხედრო საზღვრის დაცვის წესდების განხორციელება), ინტეგრირებული საზღვრის მართვის სტრატეგიის განხორციელება;
- მესაზღვრეთა სრულყოფილი მომზადება-გადამზადების სისტემის ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესების დაცვა;
- ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მინიმუმამდე შემცირება.

პრიორიტეტი: პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- მაღალპროფესიონალი კადრების მომზადება-გადამზადება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სამართალმცოდნეებისა და სხვა პროფილის სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება, კვლევითი და გამოყენებითი სამეცნიერო საქმიანობა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურებისა და დაწესებულებების თანამშრომელთა პირველდაწყებითი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რიგითთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი:
კადრების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება.

პრიორიტეტი: ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ეროვნული საგანძურის ქვეყნის გარეთ გატანის მცდელობებისა და დიპლომატიურ კორპუსზე თავდასხმის საშიშროებიდან გამომდინარე, ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, მნიშვნელოვანი ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და სხვა ობიექტების დაცვა, ფულადი სახსრებისა და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება.

მოსალოდნელი შედეგი:
დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება.

პრიორიტეტი: მოსამსახურეთა სოციალური დაცვა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში მოსამსახურეთა სოციალური დაცვა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო უზრუნველყოფა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება, დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონარულ-სანატორიული მკურნალობა, ავადობისა და ტრავმატიზმის მიზეზების შესწავლა, ავადმყოფთა და დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;
- დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება, შესაძლო საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ევაკუაციის ორგანიზება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსამსახურეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის რაოდენობათა შემცირება;
- ავადმყოფთა და დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია;
- მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: სახელმწიფო მატერიალური რეზერვის მარაგის შენახვა და მომსახურება, ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შენახვა, მათი მომსახურება და ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება;
- სახელმწიფო რეზერვების, მასალებისა და საქონლის დაგროვების სახელმწიფო დავალებების შესრულება;
- მატერიალურად საპასუხისმგებლო რეზერვების შენახვისა და აღრიცხვის კონტროლი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ბაზის სრულყოფა;
- ახალი სტრატეგიული მარაგების შექმნა.

მუხლი 47. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- განათლების სისტემაში ინსტიტუციური მშენებლობის დასრულება, განათლების მართვის სისტემის სრულყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფა; ერთიან ევროპულ და ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა; ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;
- შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება; სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; მეცნიერების განვითარება.

აღნიშნული პრიორიტეტების მიზნებია:

- განათლების ერთიანი მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება განათლების სხვადასხვა საფეხურების მჭიდრო ურთიერთკავშირით; დემოკრატიული და დეცენტრალიზებული მართვის მექანიზმების გაუმჯობესება; განათლების დაფინანსების მოდელების სრულყოფა;

- განათლების ყველა საფეხურზე სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლება; განათლების თანამედროვე მატერიალური ბაზის ჩამოყალიბება; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება; განათლების ყველა საფეხურზე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენების ხელშეწყობა;
- ეთნიკური უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის გაზრდა;
- უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაცია; მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებების უპირატესი განვითარება; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება; მეცნიერებაში კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების მიზიდვა.

პრიორიტეტი: განათლების სისტემაში ინსტიტუციური მშენებლობის დასრულება, განათლების მართვის სისტემის სრულყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სკოლამდელი განათლების მართვის სტრატეგიის შემუშავება; სკოლამდელი განათლების სტანდარტების შემუშავება; სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ორიენტირებული ალტერნატიული მოდელების პილოტირება;
- ვაუჩერული დაფინანსების არსებული სისტემის კვლევა და ალტერნატიული მოდელების შემუშავება; საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრების ჩართვა ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში; სკოლების რეაბილიტაცია; სკოლის მართვაში სკოლების მმართველობითი რგოლების კომპეტენციების გაზრდა; რესურსცენტრების აღჭურვა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; ზოგადი სკოლების აკრედიტაციის ჩატარება; მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია; მასწავლებელთა სერტიფიცირება;
- ერთიანი ეროვნული საბაკალავრო გამოცდების ჩატარება; საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარება; უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის კვლევა;
- განხორციელებული პროგრამების მონიტორინგი; განათლების რეფორმისა და მისი განხორციელების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სკოლამდელი განათლების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა;
- სკოლების დაფინანსების, სასწავლო გარემოს გაუმჯობესების, მართვის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა; საგანმანათლებლო რესურსცენტრების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სკოლებში სასწავლო გარემოსა და რესურსების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და მიზნებთან შესაბამისობის დადგენის მექანიზმის შექმნა; პედაგოგთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის ზრდისა და შეფასების მექანიზმის შექმნა; ზოგადი განათლების სისტემის რგოლებს შორის კომუნიკაციის, მართვისა და თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესება;

- ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაკალავრო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ გამოცდებზე გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების გაუმჯობესება;
- განათლების სფეროში თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდებზე ინფორმირებულობის გაზრდა; განათლებასა და მეცნიერებაში სახელმწიფო პოლიტიკისა და მისი განხორციელების მიმართ საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულებისა და პროცესში ჩართულობის გაზრდა.

პრიორიტეტი: ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფა; ერთიან ევროპულ და ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა; ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საჯარო სკოლების პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გაზრდა და დაზღვევა; ეროვნული სასწავლო გეგმების (ესგ) შემუშავება და დახვეწა; საჯარო სკოლის დირექტორთა გადამზადება; სახელმძღვანელოების ხარისხის ამაღლება; მასწავლებლებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება და გავრცელება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების სახელმწიფო დაფინანსება; საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისციპლინური დარღვევების აღმოფხვრისა და ძალადობის პრევენციის სისტემის ჩამოყალიბება;
- ეთნიკურ უმცირესობებში ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოპულარიზაცია, მათთვის სახელობო, პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად გრანტების გაცემა; ენის სწავლების სახლების ხელშეწყობა და ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმძღვანელოების თარგმნა;
- ინკლუზიური განათლების დანერგვა, სკოლამდელ დაწესებულებებში მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობა; კორექციული განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არაფორმალური და სამოქალაქო განათლების სერვისების განვითარების ხელშეწყობა; ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო და სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა; სოციალური გრანტების შეთავაზება სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გასაგრძელებლად;
- ზოგადევროპული ენობრივი განათლების სივრცეში ინტეგრირება; მულტილინგვური განათლების სისტემის შემუშავება; ეროვნული უმცირესობების ენების დაცვის მხარდაჭერა;
- სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა მოსწავლეებსა და სტუდენტებში; მოსწავლეთა და სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებების მხარდაჭერა; განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭება;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმების განახლება; ბოლონიის ამოცანების განსახორციელებლად შესაძლებლობების გაძლიერება;

- ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დახმარების პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნა და ძველის დახვეწა; მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების ტრენინგების ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, პროფესიული უნარებისა და ცოდნის გაზრდა, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მასწავლებლის სტატუსის ამაღლება; საჯარო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შერჩევა; სკოლაში სწავლისა და სწავლებისათვის უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;
- ეთნიკური უმცირესობების ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობის გაზრდა და მათი სამოქალაქო ინტეგრაცია; ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა; ენობრივი უმცირესობების დაცვა; მულტილინგვიზმის ხელშეწყობა;
- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის გაზრდა; სოციალურად დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის გაფართოება; საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მოსწავლეებსა და სტუდენტებში სამოქალაქო ღირებულებების განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეებსა და ახალგაზრდებში ცოდნაზე ორიენტირებულობის პოპულარიზაცია; ფიზიკური განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- უმაღლესი განათლების პროგრამების საერთაშორისო სისტემასთან თავსებადობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდა; უმაღლეს განათლებაში საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩოს დახვეწა; უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს თვითსერტიფიცირება; პროგრამული აკრედიტაციის მომზადება რეგულირებადი პროფესიების ხუთ სფეროში; კვალიფიკაციების აღიარების პროცესის ლისაბონის კონვენციასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება; სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; მეცნიერების განვითარება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- საჯარო სკოლების აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით; წარჩინებული მოსწავლეების დასაჩუქრება პირადი კომპიუტერით; მასწავლებელთა გადამზადება ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაზისო უნარებში; სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსების განვითარებისა და ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხელშეწყობა; სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებისა და კონკურსების ორგანიზება;
- სახელობო განათლების ხარისხის რეგულირების მექანიზმების შექმნა; სახელმძღვანელოების შექმნა; სოციალური ჯგუფების სტუდენტთა ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის შექმნა; სახელობო განათლების მართვის ინფორმაციული სისტემისა და მონაცემთა ინტერნეტბაზის ჩამოყალიბება; სახელობო პროგრამების ჩართვა ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

- ქვეყანაში სამეცნიერო პროექტების საერთაშორისოდ აღიარებული სისტემებით შეფასება და დაფინანსება; ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ანალიზი; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება; უახლესი სამეცნიერო აპარატურით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა; ქართველ მეცნიერთა მობილობის ხელშეწყობა; საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ქართველ მეცნიერთა ჩართვის ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა მეცნიერული ღირებულების მქონე პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა მიერ მომზადებული შრომების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობა; მეცნიერების პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სახელობო საგანმანათლებლო დაწესებულებების დივერსიფიცირებული სისტემისა და მართვის სისტემის შექმნა და დანერგვაზე ორიენტირებული რეფორმის დაწყება; სახელობო განათლებაში სწავლების ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი მექანიზმების ჩამოყალიბება;
- საჯარო სკოლებში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და კომპიუტერულ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; საჯარო სკოლის პედაგოგებს შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საბაზისო უნარების შექმნა;
- სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება, მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა; საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს გაფართოება; ქართველი მეცნიერების საერთაშორისო კვლევებით პროექტებში მონაწილეობის გაზრდა; მიზნობრივი კვლევების განხორციელება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო მიმართულებებში; სამეცნიერო სფეროს დაახლოება მრეწველობასა და ბიზნესთან; სამეცნიერო კვლევების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება.

მუხლი 48. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

- სახელოვნებო და სასპორტო განათლების სისტემის რეფორმა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია;
- სპორტულ სახეობათა განვითარება და ახალგაზრდული სპორტის პოპულარიზაცია;
- მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: სახელოვნებო და სასპორტო განათლების სისტემის რეფორმა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სისტემის ინსტიტუციური და პროგრამული რეფორმირების დასრულება;

- სახელოვნებო განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სტანდარტების, მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სპორტული ფაკულტეტების პროგრამების შემუშავება-მომზადება;
- საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრატურის დაფინანსება;
- სახელოვნებო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კინოსასცენარო და დრამატურგიის მაგისტრატურის დაარსება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცება;
- საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე სამუსიკო სკოლების (თერთმეტწლედების) დაფუძნება თბილისში, რუსთავში, გორსა და თელავში;
- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

პრიორიტეტი: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის რესურსების დაცვა, მათი მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია;
- ძეგლებზე არსებული ინფორმაციის შევსება, განახლება და სისტემატიზაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია და მართვის თანამედროვე სტანდარტების მექანიზმების შექმნა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა

პროგრამის ღონისძიებები:

- საქართველოს ურბანული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების) დაცვა და რეაბილიტაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია;

- საქართველოს მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია, დამცავი ზონების დადგენა და მონიტორინგი;
- კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ამოქმედება;

მოსალოდნელი შედეგები:

- ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების გააქტიურება;
- საქართველოს მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფა;
- ბაგრატის ტაძრის აღდგენა;
- „ცისფერი გალერეის" რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა;
- კორცხელის მონასტრის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.

პრიორიტეტი: სპორტულ სახეობათა განვითარება და ახალგაზრდული სპორტის პოპულარიზაცია

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- სპორტის სხვადასხვა სახეობათა განვითარება;
- ქვეყანაში ახალგაზრდული სპორტის განვითარება, საქართველოს რეგიონებში სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა

პროგრამის ღონისძიებები:

- საქართველოს წამყვან სპორტსმენთა მიერ ლონდონის XXX ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება და ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვება;
- ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის და საერთაშორისო ტურნირებისათვის მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების (რაგბი, ფეხბურთი) ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;

- სასკოლო ფეხბურთის განვითარება;
- თბილისსა და ქუთაისში ორი საცურაო აუზის რეაბილიტაცია;
- თბილისში ორი საკალათბურთო ბაზის რეაბილიტაცია.

საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა

პროგრამის ღონისძიებები:

- ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებსა და სპორტულ სკოლებში.

პრიორიტეტი: მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- მსოფლიოში საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი და უნიკალური კულტურის მქონე ქვეყნის და ევროპის განუყოფელი ნაწილის, წარმოჩენა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

საქართველოს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამა „ქართული სეზონი“

პროგრამის ღონისძიებები:

- საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის გაცვლითი კულტურული ღონისძიებების სისტემატური განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროპის ქვეყნებში ქართული სახვითი ხელოვნების წარმოჩენა;
- ვენეციის ბიენალეს ფესტივალზე ქართული პავილიონის მოწყობა;
- ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში მონაწილეობა;
- ქართული თეატრის მხატვრობის რეტროსპექტივა;
- ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ოქროს ექსპოზიციის მოწყობა ქალაქ სტოკჰოლმში.

პრიორიტეტი: ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- თანამედროვე ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგების (თეატრის, მუსიკის, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და საბიბლიოთეკოს) განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარება“

პროგრამის ღონისძიებები:

- საქართველოს პროფესიულ თეატრებში ცნობილი უცხოელი რეჟისორების, სადადგმო ჯგუფების მოწვევის ხელშეწყობა;
- საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის დაცვა და განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბალეტის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება;
- საქართველოს გაწევრიანება „Eurimages Council of Europe“-ში;
- კინოფესტივალ „პრომეთეს“ ჩატარება.

ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამა

პროგრამის ღონისძიებები:

- საქართველოში ტრადიციული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალებისა და კონკურსების მხარდაჭერა;
- მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია;
- მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, დაწესებულებების მხარდაჭერაში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მუსიკის სფეროში ფესტივალების ჩატარება;
- ახალგაზრდა პიანისტთა IV საერთაშორისო კონკურსის ჩატარება;
- პოპულარულ თანამედროვე შემსრულებელთა კონცერტის ხელშეწყობა.

პროგრამა „ლიტერატურისა და საბიბლიოთეკო დარგის განვითარება“

პროგრამის ღონისძიებები:

- წიგნის ფესტივალების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია;
- ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- ლიტერატურული გაზეთის დაფუძნება და 10 თანამედროვე საუკეთესო ქართული ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემა;
- წიგნის XI საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება.

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების პროგრამა

პროგრამის ღონისძიებები:

- თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმების ხელშეწყობა;
- საქართველოს რეგიონებში გამოფენების ხელშეწყობა;
- საქართველოს თანამედროვე სახვითი და ვიზუალური ხელოვნების ელექტრონული არქივის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

- თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმ „არტისტერიუმი-2009-ის“ მოწყობა;
- 1937 წელს რეპრესირებულ ხელოვანთა და მწერალთა მემორიალის საუკეთესო პროექტის გამოსავლენად კონკურსების ჩატარება;
- ხელოვნების ვებარქივის შექმნა.

მუხლი 49. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

- პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის;
- დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

პრიორიტეტი: პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- **პროგრამა „ჩემი სახლი“**

მოსალოდნელი შედეგი:
აღირიცხება დევნილი მოსახლეობის უძრავი ქონება.

პრიორიტეტი: დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- კომპაქტური ჩასახლების ობიექტების გადაუდებელი შეკეთება;
- სოციალური საცხოვრებლის შეთავაზება უკიდურესად გაჭირვებული დევნილებისათვის;
- კარკასული ტიპის შენობების მოძიება, ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნა და უსახლკარო დევნილთათვის შეთავაზება;
- დევნილთა დასაქმების მხარდამჭერი პროგრამის განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი:
შეიქმნება მინიმალური საცხოვრებელი პირობები კომპაქტური განსახლების ობიექტებში, რომლის საერთო ფართობია დაახლოებით 65 700 $მ^2$, აგრეთვე კარკასული ტიპის შენობები დაახლოებით 24 000 $მ^2$ ფართობზე, სადაც განთავსდება დევნილთა დაახლოებით 1 000 ოჯახი.

პრიორიტეტი: მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- მიგრაციის მართვის სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმის განხორციელება;
- რეინტეგრაციის მდგრადი მექანიზმების უზრუნველყოფა;
- მიგრაციის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ეკომიგრანტთა განსახლებისათვის აუცილებელი საცხოვრებელი ფართობების მოძიება და შეძენა.

მოსალოდნელი შედეგები:
- გაიზრდება ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობები;

- განხორციელდება რეადმისიის ხელშეკრულებით დაბრუნებულთა მაქსიმალური დახმარება საზოგადოებაში სრულფასოვანი რეინტეგრაციის მიზნით;
- შემცირდება არალეგალური მიგრაციის ნაკადები;
- სტიქიით დაზარალებული ოჯახების განსახლების მიზნით შეძენილი იქნება საცხოვრებელი სახლები.

მუხლი 50. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პრიორიტეტი: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის (მათ შორის, დევნილების) სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა – სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება კერძო სამედიცინო სადაზღვევო მექანიზმების საფუძველზე.

მოსალოდნელი შედეგი:
მიზნობრივი ჯგუფის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პრიორიტეტი: სოციალურად საშიში დაავადებების მართვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა;
- ფთიზიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა;
- აივ-ინფექციის/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა;
- ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.

მოსალოდნელი შედეგი:
ქვეყნის მოსახლეობაში სოციალურად საშიში დაავადებების გავრცელების შემცირება.

პრიორიტეტი: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა – დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს სამეანო და 0-დან 3 წლამდე ბავშვთა აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას.

მოსალოდნელი შედეგი:
ორსულთა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

პრიორიტეტი: მიზნობრივი ჯგუფების სპეციფიკური სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

მოსალოდნელი შედეგი:
მიზნობრივ ჯგუფებში ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება.

პრიორიტეტი: სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ამბულატორიული მომსახურების კომპონენტი სოფლად – სოფლის მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:
სოფლის მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პრიორიტეტი: მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა და რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა – მოსახლეობისათვის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა და, საჭიროების შემთხვევაში, ტრანსპორტირება.

მოსალოდნელი შედეგი:
მოსახლეობის სასწრაფო და გადაუდებელ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პრიორიტეტი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების მართვა

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის კომპონენტი;
- ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის კომპონენტი;
- ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციის კომპონენტი;

- უსაფრთხო სისხლის კომპონენტი.

მოსალოდნელი შედეგი:
დაავადებათა გავრცელების შემცირება, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: მაღალტექნოლოგიური და სხვა ჰოსპიტალური მომსახურების მიწოდება მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა;
- კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ბავშვთათვის და 60 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობისათვის;
- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა;
- 60 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობის ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ომის ვეტერანთა სამედიცინო მომსახურება.

მოსალოდნელი შედეგი:
მიზნობრივი ჯგუფების მაღალტექნოლოგიურ და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პრიორიტეტი: მოსახლეობის სიღარიბის დონის შემცირება

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- **სოციალური დახმარებების პროგრამა**

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულადი სახის გასაცემლებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:
გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

- **საპენსიო უზრუნველყოფა**

სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სოციალური ვალდებულებების დაფინანსების მიზნით პენსიის ოდენობის ეტაპობრივი ზრდა, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით აღებული ვალდებულებების შესრულება.

მოსალოდნელი შედეგი:
შესაბამისი კატეგორიების პენსიონერთა სახელმწიფო პენსიებით, სახელმწიფო კომპენსაციებითა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიებით უზრუნველყოფა.

- **სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა**

სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისადმი მიკუთვნებულ პირთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:
გაუმჯობესდება კანონმდებლობით განსაზღვრულ, სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისადმი მიკუთვნებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

- **ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება**

მოსამსახურეთა და დასაქმებულთა შესაბამისი დახმარებებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:
გარანტირებული იქნება დასაქმებულ ქალთა უფლებები, შესრულდება სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სოციალური ვალდებულებები.

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა**

ამ კონტინგენტის ჯგუფების სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების, დღის ცენტრებისა და სათემო ორგანიზაციების მომსახურებით, ფსიქო-სომატური და საკურორტო რეაბილიტაციით, საპროთეზო-ორთოპედიული და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:
გაუმჯობესდება სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა ღირსეულად ცხოვრებისათვის საჭირო პირობები, რაც დადებითად აისახება საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხარისხზე.

- **ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები**

მოსალოდნელი შედეგი:
ლტოლვილთა და დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა.

პრიორიტეტი: ბავშვთა კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა

- **პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“**

ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების ქსელის რაციონალიზაცია, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენცია.

მოსალოდნელი შედეგი:

ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინტეგრაცია საზოგადოებაში.

მუხლი 51. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

- ბუნებრივი გაზის გადაცემის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- საქართველოს ჰიდრორესურსების ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა;
- მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: ბუნებრივი გაზის გადაცემის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ერთიანი გაზმომარაგების სისტემის უზრუნველყოფა დივერსიფიცირებული გაზმომარაგებით და სისტემური საიმედოობის ამაღლება, ქვეყნის რეგიონების და განვითარებადი სამრეწველო ეკონომიკური ზონების გარანტირებული გაზმომარაგებით უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

„ბუნებრივი გაზის სექტორში სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები“

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობისა და სარეაბილიტაციო ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მაგისტრალური გაზსადენის ასპინძა-ახალციხის 300 მმ დიამეტრის 25 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა, რის შედეგადაც გაუმჯობესდება ქვეყნის ამ რეგიონის გაზმომარაგება.

პრიორიტეტი: საქართველოს ჰიდრორესურსების ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური და ეფექტიანი ათვისება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

„ჰიდრორესურსების შესწავლის, საპროექტო და ექსპერტიზის სამუშაოების დაფინანსების ღონისძიება“

შესწავლილი იქნება საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენების სქემები.

პრიორიტეტი: მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ადგილების გაზიფიცირება და მათი ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

„ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფის, მოქმედი ტარიფების მოსალოდნელი ზრდის კომპენსაციისა და მაზუთის შეძენის ღონისძიებები“

მოსალოდნელი შედეგი:
განხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა გაზითა და ელექტროენერგიით მომარაგება.

მუხლი 52. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა;
- სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უვნებლობის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი: სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ახალი, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-დანადგარების შეძენა და არსებული ტექნიკის განახლება, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დონის ამაღლება, საირიგაციო სისტემების გამართული ფუნქციონირება, მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, გარანტირებული და ხარისხიანი სამელიორაციო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია“
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება, სათანადო ტექნიკური დავალებების მომზადება და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- რეაბილიტირებული სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურა;
- მელიორირებული, სარწყავი და დამშრალი ფართობების ზრდა;
- სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდა.

პროგრამა „სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ლიკვიდირებული სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის ბაზაზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამელიორაციო მომსახურების შპს-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა და მათ ბალანსზე რიცხული სამელიორაციო არხების წმენდა-მოწესრიგების სამუშაოების დაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგი:

ფასიანი სამელიორაციო მომსახურების ბაზრის ფორმირება, გადახდისუნარიანი სამელიორაციო მომსახურებით მოსარგებლე ასოციაციებისა და ცალკეული მომხმარებლების ფენის ჩამოყალიბება, სასოფლო-სამეურნეო მიწების გარანტირებული ირიგაცია.

პროგრამა „სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები“

პროგრამით გათვალისწინებული თანხები მოხმარდება საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობას.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაცია და მისი საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის ხელის შეწყობა, აგრობიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

პროგრამა „მუნიციპალიტეტების დასახლებებში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით (ამონიუმის გვარჯილა) უზრუნველყოფის ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის დასახლებებში მცხოვრები ოჯახების მინერალური სასუქით უზრუნველყოფა, კერძოდ, თითოეულ კომლზე 50 კგ მინერალური სასუქის (ამონიუმის გვარჯილა) გაცემა, ტრანსპორტირების ხარჯები და მოსახლეობის ინფორმირება სასუქის მიღების წესებისა და ადგილმდებარეობის შესახებ.

მოსალოდნელი შედეგი:

საგაზაფხულო სამუშაოთა ეფექტიანად და დროულად შესრულება, მოსავლიანობის ზრდა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამა „რუსეთის აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სათესლე მასალით უზრუნველყოფის ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იმ დაზარალებული ოჯახებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე მასალის შესყიდვა და გადაცემა, რომელთაც ახალი დასახლების მიხედვით გამოეყოთ მიწის ნაკვეთები.

მოსალოდნელი შედეგი:

განხორციელდება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ახალ საცხოვრებელ პირობებთან შეგუება და მათი მოხმარებისათვის საჭირო სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- ქართული ღვინოების ავტორიტეტის ამაღლება და პოპულარიზაცია; ღვინის ლაბორატორიული კვლევის განხორციელებით ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან დაცვა; ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის განვითარება; საქართველოში არსებული ვენახების სრული ინვენტარიზაცია.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები“

საბრენდე სპირტების დამზადების მიზნით კომპანიების მიერ ღვინომასალების შესყიდვა; შემდგომი გადამუშავებისათვის მოსახლეობისაგან ყურძნის შესყიდვის ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი:

ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებში ღვინომასალის გარდამავალი ნაშთების შემცირება, ყურძნის გადამუშავებისა და ღვინოპროდუქტების შენახვა-დავარგების სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენება, საბრენდე სპირტების რესურსების გაზრდა, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლება.

პროგრამა „2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“

მოსახლეობის მიერ ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის ჩაბარებული ყურძნის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურება.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსახლეობის ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობა, ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება.

პროგრამა „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები“

ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება; ქართული ღვინოპროდუქციის დეგუსტაცია-კონკურსებისა და გამოფენების მომზადება და ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაცია, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება, ღვინოპროდუქციის წარმოებისა და საექსპორტო მიწოდების მოცულობის გაზრდა, ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება.

პროგრამა „ღვინის ლაბორატორიული კვლევა“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილწარმოშობის ღვინოების კონტროლი, აგრეთვე სერტიფიცირებულ პარტიაში არსებულ პროდუქციასთან, მეწარმის მიერ ლაბორატორიისათვის და სადეგუსტაციო კომისიისათვის წარდგენილი ნიმუშების შესაბამისობის დადგენა; დაწესდება საინსპექციო კონტროლი ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებულ პარტიაზე, რომლებზედაც ჰოლოგრამებია დატანილი.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის განვითარება, ღვინოპროდუქციის ხარისხის ამაღლება, ასორტიმენტის გაფართოება, საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება.

პრიორიტეტი: სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უვნებლობის უზრუნველყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზანია:

- მცენარეული საფარის, მოსავლის შენარჩუნების და მათი ხარისხის გაუმჯობესება, მოსახლეობის უვნებელი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, ქვეყნის ტერიტორიაზე სერიოზული ზარალის მომტანი, განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნებლების (ამერიკული თეთრი პეპელა, კალია, არაფარდი პარკხვევია, სიმინდისა და ხორბლის მავნებლები, მავნე მღრღნელები, სარეველები და სხვა) და ცხოველთა განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო/სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება; სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „სასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის სურსათის ნიმუშების, საჭირო დამხმარე მასალების და მოწყობილობის შესყიდვა, აღნიშნული ნიმუშების აკრედიტებულ ლაბორატორიებში ლაბორატორიული კვლევის ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესდება სურსათის ხარისხი და მკვეთრად შემცირდება მავნე სურსათის ბაზარზე განთავსება; შემცირდება ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე სურსათის მავნე ზემოქმედება; შესაძლებელი გახდება სურსათის უვნებლობასა და ხარისხზე კონტროლის განხორციელება.

პროგრამა „ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები“

შეძენილი იქნება თურქულის, ჯილეხის და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები, მსხვილფეხა პირუტყვისგან აღებული იქნება სისხლის სინჯი ბრუცელოზზე გამოსაკვლევად, ჩატარდება ვაქცინაცია ცოფზე, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვს ჩაუტარდება გამოკვლევა ტუბერკულოზზე.

მოსალოდნელი შედეგი:

ქვეყანაში შენარჩუნდება ეპიზოოტიური კეთილსაიმედობა და ბრუცელოზისა და ტუბერკულოზის გამოკვლევების ჩატარებით დადგინდება დაავადებების გავრცელების არეალი, ჩატარდება შესაბამისი ვეტერინარულ-სანიტარიული ღონისძიებები დაავადებების თავიდან ასაცილებლად, პროფილაქტიკური ვეტღონისძიებების გატარებით და არსებული არაკეთილსაიმედო კერების ლიკვიდაციით შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილება და დაავადებებისაგან დაცული იქნება

მოსახლეობა; მოსახლეობას მიეწოდება უვნებელი, საიმედო მეცხოველეობის პროდუქტები.

პროგრამა „მცენარეთა დაცვა“

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გატარდება ღონისძიებები განსაკუთრებით საშიში მავნებლების – ამერიკული თეთრი პეპლის, სიმინდის მავნებლის, არაფარდი პარკხვევიას, ოქროკუდას, კალიების და მავნე მღრღნელების წინააღმდეგ; განხორციელდება სარეალიზაციოდ განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშების აღება და ხარისხის ლაბორატორიული შემოწმება, გამოიცემა და გავრცელდება მავნებელ დაავადებათა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციები და ინსტრუქციები.

მოსალოდნელი შედეგი:

შემცირდება მცენარეთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების გავრცელების არეალი, მოსავლის დანაკარგი; ფალსიფიცირებული, მოძველებული და უხარისხო პრეპარატების რეალიზაციის აღკვეთით უზრუნველყოფილი იქნება მომხმარებელთა ინტერესების დაცვა; სოფლის მეურნეობის პროდუქციაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების განსაზღვრა ხელს შეუწყობს მათი გამოყენების რეგლამენტების დაცვას და უვნებელი პროდუქციის მოყვანას; რეკომენდაციების, ინსტრუქციების და სხვა საგანმანათლებლო მასალების გამოცემა-გავრცელება უზრუნველყოფს მცენარეთა დაცვის დარგში დაკავებულ სპეციალისტთა და ფერმერთა ცოდნის ამაღლებას, ახალი ეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვას.

მუხლი 53. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

- ეფექტიანი რესურსთსარგებლობა;
- გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა;
- გარემოს მონიტორინგისა და პროგნოზირების სისტემის სრულყოფა.

პრიორიტეტი: ეფექტიანი რესურსთსარგებლობა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ერთიან სისტემაში კერძო სექტორის როლის გაზრდა;
- რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
- რესურსებით უკანონო სარგებლობის მასშტაბების შემცირება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „სატყეო ღონისძიებები“

- ტყის კულტურების მოვლა;
- ტყეთმოწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ტყის მდგრადი კორომების ჩამოყალიბება;
- ტყის მერქნული რესურსების რაციონალური გამოყენება.

პროგრამა „მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებები“

მოსახლეობის მიერ განაღდებული ვაუჩერების რაოდენობის შესაბამისად, საშეშე მერქნისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ჩარიცხვა შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტებში.

მოსალოდნელი შედეგი:

ზამთრის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფა.

პროგრამა „საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული სამუშაოები“

- სატელიტური სურათების შესყიდვა;
- გეოდეზიურ-კარტოგრაფიული სამუშაოების შესრულება.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველად შეიქმნება 1:10 000 მასშტაბის ციფრული ქართულენოვანი სახელმწიფო ტოპოგრაფიული რუკები საერთაშორისო კოორდინატთა სისტემაში (WGS-84), რომლის საფუძველზედაც განხორციელდება საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტირება.

პრიორიტეტი: გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- ეფექტიანი და ქმედითი გარემოსდაცვითი მექანიზმების დანერგვა;
- ერთიანი ადეკვატური გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება;
- გარემოსდაცვითი კონტროლის გაძლიერება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“

- დაცული ტერიტორიების სარეკლამო-საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტების და სხვა სახის პოლიგრაფიული სარეკლამო-საინფორმაციო მასალების დამზადება და გავრცელება;
- სატელევიზიო რეკლამის დამზადება და განთავსება;

- ეკოტურიზმის თემასთან დაკავშირებული გამოფენების ორგანიზება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;
- ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება როგორც სკოლის მოსწავლეებისათვის, ისე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის;
- ეკოტურიზმის სფეროში მიმდინარე სიახლეების გაშუქება ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- ვიზიტორებისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- ქვეყნის მასშტაბით ეკოტურიზმის განვითარება;
- აღნიშნული ტერიტორიებისადმი ინტერესის გაზრდა, რაც შემდეგ უზრუნველყოფს მათ პოპულარიზაციას.

პროგრამა „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“

- მეხანძრეებისათვის სპეცინვენტარის შეძენა;
- ხანძარსაწინააღმდეგო თხრილების მოწყობა და სხვა აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს პათოლოგიებისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგები:

- დაცულ ტერიტორიებზე ხანძრის წარმოშობის კერების და ხანძრის გაჩენის რისკების შემცირება;
- დაცულ ტერიტორიებზე მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

პროგრამა „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები“

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
- გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმათა გათვალისწინებით, დასაბუთებული საექსპერტო დასკვნების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი:

გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების კონტროლის განხორციელება.

პროგრამა „საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და დროებით უსაფრთხო განთავსება“

- პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა, ტრანსპორტირება და განთავსება;
- დაბინძურებული გრუნტის შეგროვება, ტრანსპორტირება და განთავსება;
- დაბინძურებული ტერიტორიების დეზაქტივაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად ლიკვიდირებული იქნება პესტიციდებით დაბინძურებული კერები, რაც შემდგომ შეამცირებს გარემოს დაბინძურებას და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედებას.

პროგრამა „საქართველოში დარიშხანის სამთოქიმიური წარმოების ნარჩენების უტილიზაცია-გაუვნებლება“

- არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება;
- ნარჩენების გაუვნებლება-გადამუშავების მეთოდის შერჩევა;
- გაუვნებლების სამუშაოების საპილოტო პროექტის განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად ლიკვიდირებული იქნება დარიშხანის მადნის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენებიდან გარემოს დაბინძურების კერები და, შესაბამისად, შემცირდება ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება, ხელი შეეწყობა ტურიზმის განვითარებას და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას.

პროგრამა „მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები“

- შერჩეულ ავარიულ უბნებზე, ნაპირსამაგრი პროექტის შესაბამისად, ნაპირდამცავი ქვანაყარი ბერმის მოწყობა;
- რკინა-ბეტონის საშუალებით ნაპირდამცავი ჯებირის აგება;
- მდინარის კალაპოტის გაწმენდა-გასწორხაზოვნების საშუალებით მდინარის კალაპოტური პროცესების გაუმჯობესება-დარეგულირება;
- გაბიონის ტიპის ნაგებობის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

განხორციელებული სამუშაოების შედეგად დაცული იქნება მდინარეთა აუზების სანაპიროების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთები და სახელმწიფო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა.

პრიორიტეტი: გარემოს მონიტორინგისა და პროგნოზირების სისტემის სრულყოფა

აღნიშნული პრიორიტეტის მიზნებია:

- ქვეყანაში გარემოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა;
- მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და ანგარიშგების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება;

- მიწისქვეშა წყლების მომხმარებელი ობიექტების აღრიცხვა, მათი ტექნიკური მდგომარეობის, იურიდიული ფორმის და კუთვნილების დადგენა;
- მიწისქვეშა ჰიდროსფეროზე ანთროპოგენური დატვირთვების განუწყვეტლად ზრდის პირობებში რესურსების რაოდენობასა და ქიმიური შემადგენლობის ცვლილებაზე უწყვეტი დაკვირვებების წარმოება;
- გარემოში მიმდინარე საშიში ბუნებრივი პროცესების სრული სურათის შექმნა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენციული ღონისძიებების ეროვნული გეგმის შემუშავება.

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- აეროლოგიური (ატმოსფეროს მაღალი ფენების მეტეოროლოგიური ზონდირება) დაკვირვების კომპლექსების დანერგვა;
- მიწისპირა ავიამეტეოროლოგიური დაკვირვების ავტომატური სისტემების დანერგვა.

მოსალოდნელი შედეგი:

არსებითად გაუმჯობესდება საავიაციო მეტეოროლოგიური მომსახურების ხარისხი; ამაღლდება საავიაციო ფრენების უსაფრთხოება; ხელი შეეწყობა საავიაციო მეტეოროლოგიური მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას; გაუმჯობესდება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზების ხარისხი, რაც ხელს შეუწყობს ამ მოვლენებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგების შერბილებას ან თავიდან აცილებას.

მუხლი 54. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და უფლებათა აღდგენისათვის ძლიერი და ეფექტიანი ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოს რეგიონებში;
- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით.

პრიორიტეტი: **საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის, უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და უფლებათა აღდგენისათვის ძლიერი და ეფექტიანი ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოს რეგიონებში**

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაზრდა;
- სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის სფეროების გაფართოება;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ ექსპერტიზის ჩატარების ფუნქციის განხორციელება;
- სახალხო დამცველის აპარატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

- მართვისა და მენეჯმენტის გაძლიერება.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა, დარღვეული უფლებების აღდგენა, ასევე რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის დონის ამაღლება, დისკრიმინაციის პრევენცია და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრება, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაზე კონტროლის გაზრდა.

პრიორიტეტი: სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით

ძირითადი პროგრამები/ღონისძიებები პრიორიტეტის მიხედვით:

- სამოქალაქო განათლების რეგიონული ცენტრების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების ორგანიზება საქართველოს რეგიონებში;
- რამდენიმე მიმართულებით (საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და მოვალეობები; პრაქტიკული სამართლის საკითხები, პიროვნული განვითარება და საზოგადოება; სოციალური უფლებების დაცვა, ტოლერანტობა და სამოქალაქო ინტეგრაცია, ბავშვთა უფლებების დაცვა, უნარშეზღუდული პირების უფლებების დაცვა, გენდერი) საგანმანათლებლო პროგრამული მოდულების შემუშავება და ტრენინგ-პროგრამების მომზადება;
- რეგიონული ოფისების დაფუძნება და ავეჯით, სათანადო ტექნიკითა და სასწავლო რესურსებით აღჭურვა;
- ცენტრალური და რეგიონული ოფისების ბაზაზე ადამიანის უფლებათა დაცვის სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც მსურველებს უზრუნველყოფს სათანადო მასალებითა და თვითშემსწავლელი კურსებით;
- სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის (საჯარო მოხელეები, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები, ექიმები, სკოლების დირექცია, მოსწავლეები და მათი მშობლები, უმცირესობები და ა. შ.) ადგილებზე ტრენინგების დაგეგმვისა და სხვადასხვა სახის საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობების კოორდინირება;
- რეგიონული ოფისების საქმიანობის რეგულარული მონიტორინგი;
- სოციალური რეკლამისა და რადიო- თუ ტელეგადაცემების მომზადება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა სამოქალაქო უფლებები და ამ უფლებების განხორციელების მექანიზმები;
- რეგიონული მასმედიის დახმარებით საქართველოს რეგიონების მოსახლეობაში ადამიანის უფლებების დაცვის კულტურის დამკვიდრება.

მოსალოდნელი შედეგი:

საქართველოს მოქალაქეთა შორის ადამიანის უფლებების პატივისცემის, ტოლერანტობის, სახელმწიფოს მიმართ მოქალაქის მოვალეობების დანერგვა.